

ლიდერის ემოციური ინტელექტი და თანამშრომლის შრომითი
კმაყოფილება

თინათინ კიკალიშვილი

*ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და
ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. იგი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებლად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

თინათინ კიკალიშვილი

20.06.2015

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ლიდერის ემოციური ინტელექტის კავშირი თანამშრომლის შრომით კმაყოფილებასთან. კვლევაში გამოყენებულია გენოს-ის 7 ფაქტორიანი ემოციური ინტელექტის კითხვარი, რომელიც მოიცავს: ემოციურ თვით-ცნობიერებას; ემოციების გამოხატვას; სხვა ადამიანების ემოციების ცოდნას; ემოციურ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას; ემოციურ თვით-მართვას; სხვა ადამიანთა ემოციების მართვას; ემოციურ თვით-კონტროლს. ასევე, გამოვიყენე მინესოტას შრომითი კმაყოფილების კითხვარის მოკლე ვერსია, რომელიც მოიცავს შინაგან შრომით კმაყოფილებასა და გარეგან შრომით კმაყოფილებას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 60-მა რესპონდენტმა, 30 მენეჯერმა და 30 თანამშრომელმა, რომლებიც მინიმუმ 3 თვის განმავლობაში, სრულ განაკვეთზე იყვნენ დასაქმებულები.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა: 1. დადებითი კორელაცია ლიდერის საერთო ემოციურ ინტელექტსა და თანამშრომლის მთლიან შრომით კმაყოფილებას შორის; 2. დადებითი კორელაცია ლიდერის ემოციური ინტელექტის შვიდივე ფაქტორსა და თანამშრომლის მთლიან ემოციურ ინტელექტს შორის; 3. დადებითი კორელაცია საერთო ემოციურ ინტელექტსა და თანამშრომლის შრომითი კმაყოფილების ორივე სახეს შორის.

საძიებო სიტყვები: ემოციური ინტელექტი, შრომითი კმაყოფილება, ლიდერი, თანამშრომელი.

Abstract

The paper reviews Leader's emotional intelligence relationship with employee's Job satisfaction. Research used Genos 7 factor emotional intelligence questionnaire which includes: Emotional Self-Awareness; Emotional Expression; Emotional Awareness of Others; Emotional Reasoning; Emotional Self-Management; Emotional Management of Others; Emotional Self-Control. Also, I used the short form of the Minnesota Job satisfaction questionnaire, which includes Intrinsic and Extrinsic job satisfaction. The study consist 60 respondents, 30 managers and 30 employees, who were at least 3 months working full-time.

The result of the study shows: 1.The positive correlation between Leader's emotional intelligence and employee's job satisfaction; 2.The positive correlation between the Leader's seven factors emotional intelligence and employee's total job satisfaction; 3.The positive correlation between Leader's emotional intelligence and both types of employee' job satisfaction.

Key words: emotional intelligence, job satisfaction, leader, employee.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს ნინო ჯავახიშვილს ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, საჭირო მასალების მოწოდებისთვის და უკუკავშირისთვის.

ასევე მადლობას ვუხდით მენეჯერებსა და თანამშრომლებს, რომლებაც მონაწილეობა მიიღეს ჩემს კვლევაში და დამეხმარნენ მონაცემების შეგროვებაში.